

ნატო-ს თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკა ევროპის აღმოსავლეთ
ფლანგზე

გვანცა ნიკურაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის მაგისტრის
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (ევროპისმცოდნეობა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სერგი კაპანაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა ნიკურაძე

26.06.2019

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს უკრაინის კრიზისის საპასუხოდ, ნატო-ს წევრი ქვეყნების ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ანალიზს, 2014 წლის უელსის და 2016 წლის ვარშავის სამიტების შედეგების კვალდაკვალ, რაც გამოიხატა ნატო-ს მიერ დამატებითი სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების მობილიზებაში ალიანსის აღმოსავლეთ ფლანგზე. ნაშრომი იკვლევს იმ ფაქტორებს, რამაც განაპირობა პოლონეთისა და ბალტიისპირა ქვეყნების მიერ რუსეთისგან წამოსული საფრთხის განსაკუთრებული აღქმა.

რუსეთთან გეოგრაფიული სიახლოვე და ისტორიული კონტექსტი, არასაკმარისი სამხედრო რესურსი, რუსულენოვანი მოსახლეობის მაღალი მაჩვენებელი და რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება არის ის ფაქტორები, რომელთაც განაპირობებს ამ ქვეყნების მხრიდან საფრთხის განსაკუთრებული აღქმა და ამის გამო, მათ მოითხოვეს თავიანთ ტერიტორიაზე ნატო-ს გაზრდილი წარმომადგენლობა. ყოველივე ამას ემატება რუსეთის მხრიდან სამხედრო წვრთნები, მზარდი კიბერ-აქტივობები, საინფორმაციო ომის წარმოების ახალი გზები, ის, რასთან გამკლავებაც თავად აშშ-სა და დასავლეთ ევროპის წამყვან ქვეყნებსაც უჭირთ. ნაშრომის მთავარი მიგნებაა ის, რომ ალიანსში ახალი ტიპის ჰიბრიდულ საფრთხესთან გამკლავების პოლიტიკა არ არის შემუშავებული, რადგან მისი, როგორც კონვენციური სამხედრო ტიპის საპირწონე საფრთხედ აღქმა ვერ მოხდა. ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თვისებრივი მეთოდები: დისკურსის ანალიზი და პროცესის მიყლის მეთოდი. თეორიულ ჩარჩოდ განისაზღვრა ნეორეალისტი ავტორის, სტივენ უოლტის თეორიული დაშვებები.

საკვანძო სიტყვები: ევროპის უსაფრთხოება, თავდაცვა და შეკავება, ჰიბრიდული საფრთხე

Abstract

This paper aims to analyze the decisions of member states of NATO in the wake of Ukraine crisis in 2014, in traces of Wales Summit and Warsaw Summit. This meant the additional mobilization of land, air and maritime forces on the eastern flank of the alliance of NATO. The paper explores the factors that caused an exceptional perception of threat coming from Russia in Poland and Baltic states.

Geographic proximity and historical context, the lack of military resources, a high number of Russian speaking population and energetic dependence on Russia are the factors that caused the exceptional perception of threat from Russia in these countries. That is why they demanded from alliance to increase the representation of forces on their territories. In addition to these factors are the other factors, which are military exercises from the Russian side, increasing cyber-activities and new ways of information warfare. Handling these factors is also hard for the USA and leading countries of Western Europe.

The main finding of this paper is that the alliance has not yet elaborated politics to counter new hybrid threats because the alliance has not perceived it as the counterweight to conventional military threat. The thesis relies on qualitative research methods: critical discourse analysis, case study method, and process tracing method. As for the theoretical framework the assumptions of neorealist author Stephen Walt have been used.

Key words: European security, defense and deterrence, hybrid threats.